

ლელა საჩიძე (საქართველო)

თეოდორე სტუდიელი ძველ ქართულ მწერლობაში

ჰიმნოგრაფია ისევე, როგორც ქართული სასულიერო მწერლობის სხვა დარგები, ბერძნულიდან თარგმანებით დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ჰიმნოგრაფიის პირველ ნიმუშებს ვხვდებით ჯერ კიდევ „იერუსალიმის ლექციონარში“ (კეკელიძე 1912), რომლის უნიკალური მნიშვნელობა ლიტურგიკის კვლევისათვის დღეს უკვე კარგადაა ცნობილი. იგივე შეიძლება ითქვას „უძველესი იადგარის“ სახელით ცნობილ ვრცელ კრებულზეც, რომლის ბერძნული ორიგინალის აღდგენა დღეისათვის მხოლოდ ქართული თარგმანებითაა შესაძლებელი (უძველესი იადგარი 1980).

კვლევის შემდგომ ეტაპზე აქტუალური ხდება ქართული ჰიმნოგრაფიის იმ ნიმუშებისა და ავტორების შესწავლა, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქრისტიანული ეკლესიისა და პოეზიის ისტორიაში.

ქართული თარგმანები ყურადღებას იმსახურებს როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კარგად ცნობილი ავტორების შემოქმედების შესწავლისათვის. მათ შორისაა IX საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწისა და ჰიმნოგრაფის – თეოდორე სტუდიელის მემკვიდრეობა.

თეოდორე სტუდიელის სახელს უკავშირდება ხატმბრძოლობის საბოლოოდ დაძლევა, რაც მისი ცხოვრების მიზანი იყო. მან შეადგინა „ტიპიკონი“ სტუდიის მონასტრისთვის, რომელიც დღეს მეცნიერთა ინტერესის საგანია. ამ წმინდა მამას უკავშირდება მრავალრიცხოვანი ქადაგებები და ეპისტოლეები. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც.

თეოდორე სტუდიელი კონსტანტინოპოლური პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მოღვაწეობა ქმნის მთელ ეპოქას, ახალ ეტაპს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. შემდგომდროინდელი ჰიმნოგრაფები, ფაქტობრივად, მისი მიმდევრები და მიმბაძველები იყვნენ. სტუდიის მონასტერი, სადაც თეოდორეს მოუხდა მოღვაწეობა, მართლმადიდებლობის ძლიერი ცენტრი იყო, განსაკუთრებით ხატმბრძოლობის პერიოდში. თეოდორე სტუდიელი, 30 წლის ასაკში, ამ მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. მართლმადიდებლობის დასაცავად განეული ღვაწლისათვის იგი იქცა უდიდეს ავტორიტეტად ხატთაყვანისმცემელთა შორის. თავისი აღმსარებლობის გამო მას მოუწია სამშობლოს დატოვება, ტყვეობა, წამება. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდანის ხსენება დაწესებულია 11 ნოემბერს.

თეოდორე სტუდიელის გამოჩენა ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება ე. წ. „ახალ იადგარს“. ამ სახის კრებული ბიზანტიაში შეიქმნა იოანე დამასკელის მიერ ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმის შემდეგ. ამ კრებულში შესული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი შექმნილია უკვე ახალი საზომით – ბიზანტიური ლექ-

სით, ძლისპირთა საზომებზე. ტექსტებს ახლავს რიტმულ პუნქტუაცია და ნეგმები, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიისა და მუსიკის კვლევისათვის (აღწერილობა 1979: 10). ეს კრებული ქართულად IX საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი. სწორედ „ახალ იადგართანა“ დაკავშირებული თეოდორე სტუდიელის სამსაგალობელთა ციკლის შემოსვლა ქართულ ჰიმნოგრაფიაში (უძველესი იადგარი 1980: 775).

სამსაგალობლები „მარხვან – ზატიკის“ („ტრიოდონის“) სახელით ცნობილი კრებულის სპეციფიკური პოეტური ფორმაა. ამ ტიპის საგალობლები, ჩვეულებრივ, დადებულია „მარხვან – ზატიკის“ თითოეულ სადა დღეზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია, შესაბამისი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარიც გამოირჩევა მოცულობითა და სპეციფიკით. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „მარხვანის“ პირველი რედაქტორები იყვნენ სწორედ თეოდორე სტუდიელი და მისი ძმა – იოსები. მათი აზრით, თეოდორე სტუდიელის რედაქციის „მარხვანში“ სრულადაა წარმოდგენილი წინამორბედ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება. ამ აზრს ეხმაურება ე. უელემიც, რომლის აზრით „საგალობლების დიდი ნაწილი და, პირველ ყოვლისა, ტრიოდონის რედაქცია შექმნა სტუდიის მონასტრის ბერების მიერ IX საუკუნის დასაწყისში“ (Wellesz 1980:).

„ახალი იადგარის“ შემდეგ თეოდორე სტუდიელის სახელს ვხვდებით I ქართულ „მარხვანში“, რომელიც X საუკუნის პირველ ნახევარში, იოანე მინჩხის მიერ, ცალკე კრებულად იქნა გამოყოფილი. ქართული ხელნაწერების შედარებითი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის ამ მეტად საინტერესო კრებულის რეკონსტრუქცია (ხაჩიძე 1987: 59-74). გაირკვა, რომ ამ კრებულში დიდმარხვის თითოეულ დღეზე დადებული იყო ორი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის – თეოდორე სტუდიელისა და სტეფანე საბანმიდელის სამსაგალობლების ქართული თარგმანები. შედარებითი კვლევის საფუძველზე, სხვა ავტორებთან ერთად, გამოიყო თეოდორე სტუდიელის საგალობლები.

თეოდორე სტუდიელის მიერ ამ რეპერტუარის შექმნა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, გამოიწვია ლიტურგიის გაზრდილმა მოთხოვნებებმა. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ „მარხვანისათვის“ განკუთვნილი ამ საგალობლების შინაარსზე, რაც საფუძველს აძლევთ დაასკვნან, რომ ისინი შექმნილია 794-815 წლებს შორის ე.ი. მონასტრის წინამძღვრად არჩევიდან ხატმბრძოლი იმპერატორის – ლეონ VI-ის მიერ მის განდევნამდე. ამ საგალობლებში ჯერ კიდევ არ ჩანს ხატმბრძოლობასთან პოლემიკის ანარეკლი (Карабинов 1910: 129-131).

თეოდორეს საგალობლები მჭიდროდ უკავშირდება დიდმარხვის შვიდეულების დღეთა ხსენებებს. ოთხშაბათისა და პარასკევისათვის განკუთვნილი საგალობლები ეძღვნება ჯვარსა და მაცხოვრის ვნებას, ხუთშაბათის საგალობლები – მოციქულთა ხსენებას, შაბათის ოთხფსალმუნები – მონამეებსა და მიცვალებულებს, ორშაბათისა და სამშაბათისათვის განკუთვნილი საგალობლები კი – სინანულის მოტივებს. თეოდორე სტუდიელის „მარხვანისათვის“ განკუთვნილი საგალობლების თავისებურებად მიჩნეულია მათი თითოეული გალობის დამთავრება „სამებისანით“ – წმ. სამებისადმი მიძღვნილი ტროპარებით.

მიუთითებენ, რომ თეოდორე სტუდიელის საგალობლების მხატვრული ენა უფრო რთულია, ვიდრე რომანოზ მელოდოსისა, რომელიც მისი იდეალი იყო, მაგრამ თეოდორეს საგალობლები გამოირჩევა რელიგიური გრძნობების აღმაფრენითა და სიღრმით. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ცნობილი მკვლევარი – ე. უელესი ერთმანეთს უდარებს რომანოზ მელოდოსისა და თეოდორე სტუდიელის კონდაკებს და აჩვენებს მათ შორის არსებულ დიდ მსგავსებას (Wellesz 1980: 230-235).

ანალოგიური მდგომარეობაა თეოდორეს სხვა საგალობლებშიც, კერძოდ, „მეორედ მოსლვისადმი“ მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონშიც. ე. უელესი აქვეყნებს მისი I ოდის ბერძნულ ტექსტს ინგლისური თარგმანითურთ (Wellesz 1980: 230-232). იგი აღნიშნავს, რომ დიდი მსგავსება შეინიშნება თეოდორეს ამ კანონსა და ამავე თემისადმი მიძღვნილ რომანოზ მელოდოსის ცნობილ საგალობელს შორის. ეს იმანაც განაპირობა, რომ ორივე მათგანი ეძღვნებოდა ერთსა და იმავე თემას: „თეოდორე იძულებული იყო, მიეხატა რომანოზისათვის ისევე, როგორც რომანოზი ბაძავდა ეფრემ ასურს, თავის დიდ წინაპარს“ (Wellesz 1980: 230-232). თეოდორემ მიაღწია იმას, რომ შეძლო უკანასკნელი სამსჯავროს პოეტური ხილვა მიესადაგებინა კანონის სტრუქტურისათვის და მთელი კანონი გაემართა უკვე არსებულ ძლისპირებზე. ე. უელესს თანამედროვე სანოტო სისტემით აქვს გადმოცემული თეოდორე სტუდიელის ამ კანონის I და III ოდების მელოდია (Wellesz 1980: 233-234).

თეოდორე სტუდიელის ეს კანონი ქართულ ჰიმნოგრაფიაში პირველად გვხვდება XI საუკუნით დათარიღებულ 2 ხელნაწერში – სინ. 5 და სინ. 75. წინააღმდეგ ტრადიციაში – X საუკუნის სინურ „იადგარებში“ იგი შესული არ არის. თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონის თარგმნა, შესაძლოა, სინ. 5 და სინ. 75 ტიპის კრებულის შემდგენელს – ექვთიმე მთაწმიდელს უკავშირდებოდეს.

როგორც ჩანს, იგი 3-ჯერ უთარგმნიათ ქართულად. პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის – გეორგ. 5-ის I ნაწილში შესულია ამ კანონის II თარგმანი, რომელშიც წინააღმდეგ თარგმანთან შედარებით, გარკვეული ცვლილებებია შეტანილი. ეს თარგმანი, ყველა ნიშნით, გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

პარიზში დაცული ქართული ხელნაწერი – გეორგ. 5, რომელიც ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ (ხაჩიძე 1987: 59-74), როგორც გაირკვა, შეიცავს თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონის ახალ – III თარგმანს, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის. საგალობელზე დართულ სათაურში აღნიშნულია თემა, თარგმანის ხასიათი და მთარგმნელის ვინაობა: **„საგალობელნი მეორედ მოსლვისანი. შედარებულნი თარგმნილნი. არსენი“** (208 v). ქართული ხელნაწერების მოწმობით, არსენ იყალთოელი ერთხანს მოღვაწეობდა შავ მთაზე, სადაც, როგორც ჩანს, აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. ის იყო ეფრემ მცირის თანამოაზრე და უმცროსი თანამედროვე. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება თეოდორე სტუდიელის ამ საგალობლის თარგმნაც. თეოდორეს ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური ხელნაწერების არსებული პუბლიკაციებში და, ამდენად, საშუალება გვძლევს შევისწავლოთ ქართული თარგმანების ხასიათი და მიმართება ბერძნულ ორიგინალთან.

კვლევამ აჩვენა, თუ რა სიახლეები შეაქვთ წინადროინდელ თარგმანებთან შედარებით გიორგი მთაწმიდელსა და არსენ იყალთოელს. ეს ცვლილებები განპირობებულია, პირველ ყოვლისა, ბერძნულ ორიგინალთან შემდგომი დაახლოვების მიზნით. საგალობლის სტრუქტურაში არსებული ცვლილებებიც მათი თანამედროვე ბიზანტიური პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა აიხსნას. განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც ტერმინოლოგიურ სიახლეებსაც შეიცავს (ხაჩიძე 2012: 130-132).

მეორედ მოსვლის, განკითხვის დღის თემა ყოველთვის პოპულარული იყო ქრისტიანულ მწერლობასა და ხელოვნებაში. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავარი — რომანოზ მელოდოსი, რომლის „საშინელი სამსჯავროსადმი“ მიძღვნილი ჰიმნი ქრისტიანული პოეზიის შედევრად ითვლება. რომანოზის ამ საგალობლის ქართული თარგმანები დღეისათვის შეუსწავლელია, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილი საგალობელი უყურადღებოდ არ დარჩებოდა ძველ ქართულ მწერლობაში. საგალობლის პნკარედული თარგმანი გამოაქვეყნა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი 1973: 142-143).

ამავე თემას ეძღვნება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდი ავტორიტეტის – თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონი. ის დღესაც სრულდება ქრისტიანულ ეკლესიაში. „საშინელი სამსჯავროს“ აქ წარმოდგენილი სურათი გამოირჩევა დრამატიზმითა და ექსპრესიულობით. განსაცვიფრებელია ავტორის მიერ ადამიანურ ცოდვათა მონანიების სიღრმეც. მოვიტანთ მცირე ფრაგმენტს საგალობლის არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან:

დღესა განსაკრთომელსა,
უცხოჲსა მოსლვისა შენისასა
ვძრნი მომგონებელი,
ვიშიშვი მხედველი,
რომელსა შინა სჯდე განსჯად ცხოველთა და მკუდართა,
ღმერთო, ყოლად ძლიერო!

ოდეს მოხკდე, ღმერთო,
ბევრეულთა და ათასეულთა
ანგელოზთა თანა, მთავართა ცისათა,
მეცა მიგებებად
შენდა ღრუბლითა, ქრისტე ღმერთო,
ღირს-მყავ მაშინ უბადრუკი.

მოვედ, მდაბალო სულო,
იკსენებდი ჟამსა და დღესა,
რომელსა შინა ცხადად წარმოდგეს ღმერთი
და გოდებით ტიროდე,
რაითა იპოო წმიდად
ჟამსა განკითხვისასა.

ვფიქრობთ, ეს მცირე ფრაგმენტიც მოწმობს, თუ რაოდენ შთამბეჭდავია როგორც საგალობლის ორიგინალი, ისე მისი ქართული თარგმანი. განკითხვის დღის თემაზე წერისას ალბათ შეუძლებელი იქნებოდა მისი გაუთვალისწინებლობა როგორც ბერძენ, ისე ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ.

„განკითხვის დღეს“ აღწერს დავით აღმაშენებელი ჰიმნოგრაფიულ შედეგ-
რში – „გალობანი სინანულისანი“. საგალობლის ბოლოს (IX გალობაში) იგი ხატავს
„განკითხვის დღის“ შთამბეჭდავ სურათს, რომელიც მრავალმხრივია საინტერესო
(გრიგოლაშვილი 2005: 74-84).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თეოდორე სტუდიელის, ისე და-
ვით აღმაშენებლის საგალობელში საუბარია საყოველთაო და არა „კაცად-კაცა-
დისი“ განკითხვის შესახებ. ორივე ავტორი საუბრობს არა მხოლოდ პირად, არა-
მედ ზოგადადამიანურ ცოდვებზე.

„გალობანი სინანულისანი“ ავტორი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინ-
დანად შერაცხილი მეფეა, თეოდორე სტუდიელი – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-
ერთი გამორჩეული წმინდანი. ორივე მათგანისათვის საერთოა სინანულისა და სა-
კუთარი უღირსობის უღრმესი განცდა:

„არაა უხილავს მზესა ქალწული დედაა
თუნიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა – ნათელი მისი“.

„შეგცოდე მე, უფალო,
ვითარ არავინ ესრეთ გცოდა
კაცთაგანმან, ვითარ მე გცოდე“.

„ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი
და ყოვლად ხრწნილებაა ვიქმენ“.
(დავით აღმაშენებელი)

„შეგცოდე, რამეთუ არავინ
გცოდა ესრეთ მეძავთაგან
და უსჯულოებაა ვქმენ,
რომელ სხუამან არავინ
ჰქმნა ქუეყანასა ზედა“.
(თეოდორე სტუდიელი)

მართებულადაა შენიშნული „გალობანი სინანულისანი“ შესახებ, რომ „ამგ-
ვარ ადამიანთა ბიოგრაფიაში საძიებელია არა რაიმე განსაკუთრებული და უკიდუ-
რესად მწვავე შეცოდებანი, არამედ ის ზნეობრივი სიმაღლე, რომელსაც განსაზ-
ღვრავს ჩადენილ შეცდომათა შეგნების არაჩვეულებრივი უნარი და მაღალი ეთი-
კური მრწამსი“ (გრიგოლაშვილი 2005: 72).

თეოდორე სტუდიელის კანონი „გალობანი სინანულისანს“ გვაგონებს არა
მხოლოდ ზოგადი კონცეფციითა და სინანულის მოტივის სიმძაფრით, არამედ მს-
გავსი მხატვრული სახეებითა და ფრაზეოლოგიითაც:

„გან – რაა – ელოს წიგნი დღესა შინა
სასჯელისასა
და მე ქედ – დადრეკილი წარმოგიდგე
განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მაშინ შემინყალე, იესუ ჩემო!“
(დავით აღმაშენებელი)

„საშინელ არს სამსჯავრო,
სადა იგი ყოველნი წარვსდგეთ
ქედ – დადრეკილნი
გამოძიებისა ქმნასა და საქმეთა
წიგნისა განღებისასა,
ოდეს დასჯდე საყდართა ზედა,
მსაჯულო სიმართლისაო,
ჰ ვითარ საზარელ არს საკუმილი
ცეცხლისაო
და ნუსადა მიმცემ მე
მწარეთა მტანჯუელთა
ანგელოსთა მრისხანეთა,
რომელთა შორის არა არს პოვნაა
განსუწნებისაო“.
(თეოდორე სტუდიელი)

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის ამ პოეტური შედეგის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს დიდი ბერძენი ჰიმნოგრაფის – ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“, რომლის III თარგმანი, დავითის თხოვნით, შეუსრულებია **არსენ იყალთოელს. „გალობანი სინანულისანის“ ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ თეოდორე სტუდიელის „მეორედ მოსვლისადმი“ მიძღვნილი კანონიც, რომლის თარგმანი ასევე არსენ იყალთოელს ეკუთვნის.**

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: „გალობანი სინანულისანი“ იწყება შემდეგი სიტყვებით:

„რომლისაცა წინაშე
ქედ-დადრეკილ არს ყოველი,
მუჭლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი
შენსა
კმობს აღსარებასა, მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!“

საგალობლის პირველ სიტყვაზე – „რომელმან“ არსებობს პროფ. გ. იმე-დაშვილის გამოკვლევა, რომლის მიხედვით ქრისტიანულ მწერლობაში ეს სიტყვა გამოიყენება ღვთაების ნაცვალსახელის მნიშვნელობით და ღვთის სინონიმად გვევლინება (იმედაშვილი 1989). პროფ. ლ. გრიგოლაშვილი უთითებს საგალობლის ამ ტროპარის რამდენიმე წყაროს (გრიგოლაშვილი 2005 : 19-20). მათგან უძველესია ესაია 45,24, რომელიც „მცხეთურ ხელნაწერში“ ასე იკითხება:

„რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუჭლი და ფუცვიდეს ყოველი ენა ღმერთსა“ („მცხეთური ხელნაწერი“ 1985: 129).

საინტერესოა, რომ მსგავსი ფრაზა გვხვდება თეოდორე სტუდიელის დიდმარხვის პირველი სამშაბათისათვის განკუთვნილ ქადაგებაშიც – „ხსენებისათვის სიკუდილისა და სიტყუს-გებისათვის საქმეთა ჩუენთასა წინაშე საშინელისა მის სამსჯავროსა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„რამეთუ მითხარლა, თუ ვის წინაშე წარვსდგებით – არა ყოველთა მსაჯულისა და უფლისავე, **რომლისა მოჰსდრკეს ყოველი მუჭლი ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათა და ყოველმან ენამან აღუაროს მას...**“ (ქადაგებანი 2005: 17).

ბუნებრივია, ორივე ავტორისათვის ამოსავალია წმ. ნერილი, თუმცა შესაძლოა, რომ დავით აღმაშენებელი, საგალობლებთან ერთად, თეოდორე სტუდიელის ამ ქადაგებასაც იცნობდა.

დამონშებანი

Kartul Khelnats'erta Aghts'eriloba, Sinuri K'oleksia, II. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1978 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979).

Grigolashvili, Laura. *Davit Aghmasheneblis “Galobani Sinanulisani”*. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba, 2005 (გრიგოლაშვილი, ლაურა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005).

- Imedashvili, Gaioz. *Vepkhist'q'aosnis P'aralelebi Meate Sauk'unis Kartul Himnografiashi*. Vepkhist'q'aosni da Dzveli Kartuli Mts'erloba. Tbilisi: gamomtsemloba "sabch'ota sakartvelo", 1989 (იმედაშვილი, გაიოზი. *ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1944).
- Karabinov, Ivan. *Postnaia Triod'*. Peterburg: 1910 (Карабинов, Иван . *Постная Триодь*, СПб.: 1910).
- Kekelidze, Korneli. *Ierusalimskiy Kanonar'*. Tbilisi: 1912 (Кекелидзе, Корнелий. *Иерусалимский Канонарь VII века*. Tbilisi: 1912).
- Mtskheturi Khelnats'eri. Ed. Elene Dochanashvili. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1985 (*მცხეთური ხელნაწერი*, გამოსაცემად მოამზადა ელენე დოჩანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985).
- Wellesz, Egon. *A History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford: Oxford University Press, 1980.
- Udzvelesi Iadgari. Ed. Elene Met'reveli. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1980 (*უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980).
- Q'aukhchishvili, Simon. *Bizant'iuri Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba "ganatleba", 1973 (ყაუხჩიშვილი, სიმონი. *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1973).
- Ts'mida Theodore St'udielis Kadagebani Didmarkhvashi. Ed. Besarion Bulashvili. Tbilisi: 2005. (თეოდორე სტუდიელის ქადაგებანი დიდმარხვაში. შემდგენელი დეკ. ბესარიონ ბულაშვილი. თბილისი: 2005).
- Khachidze, Lela. *Ioane Minchkhis P'oezia*. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1987 (ხაჩიძე, ლელა. *იოანე მინჩხის პოეზია*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987).
- Khachidze, Lela. *Arsen Iy'altoelis Akhlad Aghmochenili Targmani*. Lit'erat'uruli Dziebeni, XXX, Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2009 (ხაჩიძე, ლელა. არსენ იყალთოელის ახლად აღმოჩენილი თარგმანი, ლიტერატურული ძიებანი, XXX, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009).

Lela Khachidze
(Georgia)

Theodore Studites in Old Georgian Writing

Summary

Key words: hymnography, Theodore Studites, David Aghmashenebeli.

Georgian translations of Byzantine hymnography deserve attention in a study of creativity of the well-known medieval authors. Among them is the legacy of the ninth-century outstanding ecclesiastic figure and hymnographer - Theodore Studites.

The name of Theodore Studites is associated with final victory over the Iconoclastic controversy that was the goal of his life. He composed Typikon of the Studios Monastery. A great number of homilies and epistles are connected with the name of this Church Father. He made a significant contribution to the development of hymnography too.

Theodore Studites is the most outstanding representative of the Byzantine hymnography of Constantinopolitan period. His life and activities created a whole epoch, new stage in the history of Byzantine hymnography. Subsequent hymnographers were actually his followers.

The appearance of Theodore Studites in Georgian hymnography is associated with the so-called “New Tropologion” (“New Iadgari”). Such kind of collection was created in Byzantium as a result of conducting a reform in hymnography by John Damascene. Hymnographic repertoire entering this collection was already created by new metres – Byzantine verse based on rhythmical and melodic correspondence of the hymns to the model stanzas (the heirmoi). The texts are accompanied by rhythmic punctuation and neumes. This collection must have been translated into Georgian in the 9th century. The introduction of Theodore Studites’ “three-ode” cycle into Georgian hymnography is connected with “New Tropologion”, namely. After this we find the name of Theodore Studites in the first Georgian “Triodion” that was separated as an independent collection in the first half of the 10th century. A vast repertoire of Theodore Studites’ hymns written for Lent – 35 “three-odes”, small-sized hymns and the “Kanon on the Last Judgement” appear to have been entered in Georgian manuscripts.

Theodore Studites’ hymns are included in the collections compiled by the great authorities of Georgian Church – George Athonite and Ephrem Mtsire. These hymns are still used in liturgical practice today.

The “Kanon on the Last Judgement” by Theodore Studites has been specially studied in this paper. This hymn was translated into Georgian three times by Eqvtime and Giorgi Athonites as well as by Arsen Iqaltoeli. This Kanon seems to have been frequently referred to by Georgian hymnographers when writing on this theme.

As it turns out this hymn of Theodore Studites was one of the sources for the masterpiece of Georgian hymnography – “The *Hymn* of Repentance” written by David Aghmashenebeli. Both Theodore Studites and David Aghmashenebeli’s hymns deal with a universal judgment and not individual. Both authors are speaking not only about personal but universal sins. A deep sense of repentance and one’s own worthlessness are common to both of them. The Kanon written by Theodore Studites strikes David Aghmashenebeli’s hymn not only by general conception and the tension of repentance motive but also by similar artistic images and phraseology.

The third translation of this hymn of Theodore Studites into Georgian language was done by Arsen Iqaltoeli, from David Aghmashenebeli’s immediate surroundings. It was he to whom the King ordered translation of Andrew of Crete’s “Great Kanon of Repentance” for the third time. It seems he was also familiar with Arsen Iqaltoeli’s translation of the mentioned Kanon written by Theodore Studites.